საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 9 21 01457707

09/06/2021

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
უფროსის მოადგილეს (სანებართვო საკითხებში)
ქალბატონ **თეონა ახალაშვილს**

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2020 წლის 7 ივნისის N60-01211582416 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში, სამასი არაგველის მე-2 გასასვლელი N23-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.01.138.312) სასტუმროს შენობის განმეორებით წარმოდგენილ კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტში განხორციელებული ცვლილებებით არ დარღვეულა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები და შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმების, ტექნიკურ რეგლამენტების და სტანდარტების მოთხოვნებს.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

საგადახდო დავალება
Payment Order

1590560878 | GEL | ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 27/05/2020

გადამხდელი / Sender

შპს კიტ 2016, 402031868

რეფერენსი / Ref. Num.

3379101004

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE03TB7266536080100004

თანხა / Amount

15,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank | ბანკის კოდი / Bank Code

სს თიბისი ბანკი | *TBCBGE22*

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name *შპს კიტ 2016, 402031868*

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 402031868

თანხა სიტყვიერად
Amount in words

თხუთმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code 300773263

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი
Document submission/receiving date

27/05/2020

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury | ბანკის კოდი / Bank Code

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური | *TRESGE22*

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

ხელმოწერა
Signature

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

დადგენილება 000382 შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დასტამპულია ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

№4-1/ე471-20

"01" 05 2020 წ.

დადგენილება №000382
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

04.05.2020წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ გიორგი გეჯაძემ, განვიხილე 2020 წლის 6 აპრილის №000382 მითითება და 2020 წლის 4 მაისის №000382 შემოწმების აქტი შედგენილი, შ.პ.ს. „კიტ 2016"-ს (ს/ნ №402031868; მის: ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, თამარ მეფის გამზ. №13. ბ.2) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, 300 არაგველის, გასასვლელი II, №23/ ქ. თბილისში, ქუჩა იალბუზი, №17-ის მიმდებარედ/ ქ. თბილისში, ქუჩა 300 არაგველი, №22, მიმდებარედ/ ქ. თბილისში, 300 არაგველის II გასასვლელი 23-ის მიმდებარედ/ ქ. თბილისში, ქუჩა 300 არაგველი, №2/3/ ქ. თბილისში, ქუჩა 300 არაგველი, №31/ ქ. თბილისში, ქუჩა 300 არაგველი, №22/ ქ. თბილისში, იალბუზის ქუჩის ასახვევთან არსებული ფერდობი (ნაკვეთი 138/074)/ ქ. თბილისში, იალბუზის ქუჩის ასახვევთან არსებულ ფერდობზე, ს/კ №01.17.01.138.312-ზე, შ.პ.ს. „კიტ 2016"-ს მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4478420 30.04.2019წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: ვიტრაჟებზე გაუქმებულია ალუმინის პროფილების მოწყობა და ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების ვიზაული. სართულშორის გადახურვის ფილებზე ღიობები არ არის ასახული პროექტში სრულად. ნაწილობრივ შეცვლილია სავენტილაციო შახტებისთვის განკუთვნილი ღიობების გაბარიტი. დერეფნებში შეცვლილია კარის ღიობების რაოდენობა. შემცირებულია სარეცხი და საინჟინრო ოთახების გაბარიტი. კედლები მსუბუქი ბლოკის ნაცვლად მოწყობილია თაბაშირ-მუყაოსგან. მონოლითურ კედლებში დატანილი ღიობები არ არის ასახული პროექტში სრულად. „C/g-B/დ" მონაკვეთში „1" ღერძზე მდებარე სახანძრო გასასვლელისთვის განკუთვნილი ღიობების ნაწილი შევსებულია სამშენებლო ბლოკით. „1" ღერძის გარეთ ტერიტორიაზე დამატებით მოწყობილია კაპიტალური შენობა ნაწილობრივ შეცვლილია ტერიტორიაზე მდებარე მონოლითური კედლების

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ფორმა. გეგმა -3.00 ნიშნულზე: გაზრდილია ლიფტების რაოდენობა ერთი ლიფტის ნაცვლად მოწყობილია 3. „B/ბ-A/ა" მონაკვეთში „2" ღერძის მიმდებარედ გაზრდილია კიბის საფეხურების რაოდენობა. „A/ა" და „4" ღერძების გადაკვეთაზე შეცვლილია გადახურვის ფილის ძირის ფორმა. ლიფტის ლობში ფიქსირდება ფილის დონის ცვლილება. „3-4" მონაკვეთში „A/ა" ღერძის გარეთ კედელში დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო მილი. გეგმა +0.00 ნიშნულზე: „1" ღერძის გარეთ „D/d-C/გ" მონაკვეთში შეცვლილია მონოლითური კედლის გაბარიტი. გეგმა +6.60 ნიშნულზე : „B/ბ-A/ა" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფართები. „4-5" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სანიტარული კვანძები. გეგმა +10.80 ნიშნულზე: შეცვლილია სართულის სიმაღლე. გეგმა +51.45 ნიშნულზე: შეცვლილია ფილის გაბარიტი. დამატებით მოწყობილია მონოლითური წარმონაქმნები. „5" მდებარე მონოლითურ კედელში გაუქმებულია ღიობის მოწყობა. ამავე კედელზე დამატებით მოწყობილია მონოლითური სვეტები. შეცვლილია საინჟინრო ოთახის მოწყობის მასალა მუბუქი ბლოკის ნაცვლად ფიქსირდება მონოლითური კედლები. საინჟინრო ოთახის კედლებზე დამატებით მოწყობილია ლითონის კოჭები. კედლებზე დამატებით მოწყობილია ღიობები. კიბის და ლიფტის უჯრედში ფიქსირდება ნიშნულის ცვლილება.

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2020 წლის 6 აპრილს შედგენილ იქნა №000382 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 25 (ოცდახუთი) კალენდარული დღის ვადა ობიექტის შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2020 წლის 4 მაისს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ შედგა №000382 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

საქმეშია, შ.პ.ს. „კიტ 2016"-ს №10/012001191114-17 28.04.2020წ. განცხადება, რომლითაც მხარე ეთანხმება, მუნიციპალური ინსპექციის 2020 წლის 6 აპრილის №000382 მითითებაში დაფიქსირებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით გათვალისწინებული ზომების გატარებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. „კიტ 2016"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, 300 არაგველის, გასასვლელი II, №23/ ქ. თბილისში, ქუჩა იალბუზი, №17-ის მიმდებარედ/ ქ. თბილისში, ქუჩა 300 არაგველი, №22, მიმდებარედ/ ქ. თბილისში, 300 არაგველის II გასასვლელი 23-ის მიმდებარედ/ ქ. თბილისში, ქუჩა 300 არაგველი, №2/3/ ქ. თბილისში, ქუჩა 300 არაგველი, №31/ ქ. თბილისში, ქუჩა 300 არაგველი, №22/ ქ. თბილისში, იალბუზის ქუჩის ასახვევთან არსებული ფერდობი (ნაკვეთი 138/074)/ ქ. თბილისში, იალბუზის ქუჩის ასახვევთან არსებულ ფერდობზე, ს/კ №01.17.01.138.312-ზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4478420 30.04.2019წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255

დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 123-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 127-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 127-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. შ.პ.ს. „კიტ 2016" დაჯარიმდეს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, 300 არაგველის, გასასვლელი II, №23/ ქ. თბილისში, ქუჩა იალბუზი, №17-ის მიმდებარედ/ ქ. თბილისში, ქუჩა 300 არაგველი, №22, მიმდებარედ/ ქ. თბილისში, 300 არაგველის II გასასვლელი 23-ის მიმდებარედ/ ქ. თბილისში, ქუჩა 300 არაგველი, №2/3/ ქ. თბილისში, ქუჩა 300 არაგველი, №31/ ქ. თბილისში, ქუჩა 300 არაგველი, №22/ ქ. თბილისში, იალბუზის ქუჩის ასახვევთან არსებული ფერდობი (ნაკვეთი 138/074)/ ქ. თბილისში, იალბუზის ქუჩის ასახვევთან არსებულ ფერდობზე, ს/კ №01.17.01.138.312-ზე, IV კლასის ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია) პროექტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობისთვის.

2. შ.პ.ს. „კიტ 2016"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22,** საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: **300773263,** გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. „კიტ 2016"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი

ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

gwp
მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

№ 0617-92207 D 09.11.2017

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 203826002) გენერალური დირექტორი გიორგი ცხადაძე (პირადი ნომერი: 01024030639), წინამდებარე რწმუნებულებით უფლებამოსილებას ვანიჭებ ამავე კომპანიის თანამშრომელს **ფარნაოზ ქადაგიშვილს (პირადი ნომერი: 01003004125)**, რათა მან წარმოადგინოს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წინაშე, ხელი მოაწეროს შპს „კიტ 2016“-სა და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ შორის გასაფორმებელ შეთანხმებას პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ (მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N 01.17.01.138.126) მშენებლობის წარმოებასთან დაკავშირებით) და წარადგინოს ზემოაღნიშნული შეთანხმება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში რეგისტრაციისათვის.

რწმუნებულება ძალაშია 2017 წლის 30 ნოემბრამდე (ჩათვლით).

გიორგი ცხადაძე

გენერალური დირექტორი

შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი
GEORGIAN WATER AND POWER LTD

0179 თბილისი, მ. კოსტავას 1 შესახვევი №33
ტელ / Tel: +995 (32) 293 11 11; ფაქსი / Fax: +995 (32) 298 26 07

№33, 1st Lane, M. Kostava str. 0179, Tbilisi, Georgia
ელ-ფოსტა / E-mail: info@gwp.ge / www.gwp.ge

შეთანხმება პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ

წინამდებარე შეთანხმება პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ (შემდგომში **„შეთანხმება“**) დადებულია ქ. თბილისში, 2017 წლის 09 ნოემბერს შემდეგ მხარეებს შორის:

ერთი მხრივ, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ (შემდგომში **„GWP“**) საიდენტიფიკაციო ნომერი 203826002, წარმოდგენილი მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ფარნაოზ ქადაგიშვილის (პ/ნ 01003004125) მიერ, რომელიც მოქმედებს „გამყიდველის“ მიერ 2017 წლის 11 ნოემბერს გაცემული #OG17-92207 რწმუნებულების საფუძველზე; და

მეორე მხრივ, შპს „კიტ 2016“ (შემდგომში **„მესაკუთრე“**), საიდენტიფიკაციო ნომერი 402031868; წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ბერიანიძის (პ/ნ 01003013531) მიერ;

(„GWP“ და „მესაკუთრე“ ერთობლივად მოხსენიებულნი როგორც **„მხარეები“**, ხოლო ცალ-ცალკე - როგორც **„მხარე“**)

ვინაიდან,

(ა) შპს „კიტ 2016“ არის უძრავი ქონების მესაკუთრე, მისამართი: ქ. თბილისი, ისნის რაიონი, 300 არაგველის ქ. N22-ის მიმდებარედ (ნაკვეთი N138/126); საკადასტრო კოდი: N01.17.01.138.126 (შემდგომში **„უძრავი ქონება“**), სადაც, „მესაკუთრე“ აპირებს შენობა-ნაგებობის აშენებას;

(ბ) „უძრავ ქონებაზე“ გაედინება „GWP“-ს მფლობელობაში არსებული საკანალიზაციო კოლექტორი, საკადასტრო კოდი: N01.01.755 (შემდგომში **„ქსელი“**);

(გ) „მესაკუთრის“ მიერ მშენებლობის წარმოების დროს, დარღვეული იქნება „ქსელთან“ მიმართებაში მოქმედი სანიტარული და სამშენებლო წესებითა და ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

(დ) „ქსელის“ დაზიანების შემთხვევაში, სანიტარული და სამშენებლო წესებითა და ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაუცველად აშენებული შენობა შესაძლებელია დაზიანდეს და ამ შენობაში განთავსებულ პირებს მიადგეთ მატერიალური ან/და სხვა სახის ზიანი (ზარალი); და

(ვ) „მესაკუთრე“ ითხოვს „GWP“-ს თანხმობას, რომ მიეცეს უფლება ააშენოს შენობა მიწის ნაკვეთზე, რომლის სიღრმეშიც გაედინება „ქსელი“;

ამდენად, „მხარეები“ თანხმდებიან შემდეგზე:

1. წინამდებარე „შეთანხმებით“ „GWP“ აფრთხილებს „მესაკუთრეს“ სანიტარული და სამშენებლო წესებითა და ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაუცველად წარმოებული მშენებლობიდან გამოწვეულ მოსალოდნელ უარყოფით შედეგებზე;

2. „მესაკუთრის“ მიერ სანიტარული და სამშენებლო წესებითა და ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაუცველად აშენებული შენობის საძირკვლის ქვეშ განთავსებული „ქსელის“ დაზიანების შემთხვევაში, „GWP“ იხსნის პასუხისმგებლობას „მესაკუთრის“ (ან/და მისი უფლებამონაცვლის/სამართალმემკვიდრის) წინაშე ნებისმიერი სახის დამდგარ ზიანზე;

3. „მესაკუთრე“ წინასწარ, უპირობოდ და გამოუთხოვადად უარს აცხადებს ყველა არსებულ თუ სამომავლო მოთხოვნაზე (მოთხოვნის უფლებაზე), რაც უკავშირდება „ქსელის“ დაზიანების ან/და „GWP“-ის მიერ „ქსელზე“ ავარიის აღმოფხვრის/დაზიანების ლიკვიდაციის შედეგად „მესაკუთრისთვის“ (ან/და მისი უფლებამონაცვლისათვის/სამართალმემკვიდრისთვის) მიყენებულ ზიანს (ზარალს), იქნება ეს პირდაპირი თუ ირიბი, მატერიალური თუ არამატერიალური, ფაქტობრივი, თუ მიუღებელი შემოსავალი და სხვა.

4. „მესაკუთრე“ (ან/და მისი უფლებამონაცვლე/სამართალმემკვიდრე) ვალდებულებას იღებს, რომ „ქსელის“ დაზიანების შემთხვევაში, დღე-ღამის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, უზრუნველყოს დაზიანების ადგილზე „GWP“-ის საავარიო ბრიგადისა და მანქანა-მექანიზმების შეუფერხებელი და ოპერატიული დაშვება და მუშაობის ნორმალური პირობების შექმნა „GWP“-სთვის.

5. „GWP“ ვალდებულებას იღებს, „ქსელის“ დაზიანების შემთხვევაში, შესაბამისი ნორმებით გათვალისწინებულ ვადებში, ოპერატიულად ჩაატაროს საავარიო-აღდგენითი სამუშაოები, რომელიც ვერანაირად ვერ გამორიცხავს „მესაკუთრისთვის“ (ან/და მისი უფლებამონაცვლისათვის/სამართალმემკვიდრისთვის) ზიანის შესაძლო მიყენებას.

6. „ქსელზე“ ავარიის აღმოფხვრის დროს, „უძრავ ქონებაზე“ არსებული შენობა-ნაგებობებისა და ეზოს/მიწის საფარის ნებისმიერი დაზიანების ან მათი დანგრევის აუცილებლობის შემთხვევაში, მათ აღდგენაზე მატერიალური და ფინანსური პასუხისმგებლობა „GWP“-ის არ დაეკისრება.

7. იმ შემთხვევაში, თუ „მესაკუთრე“ (ან/და მისი უფლებამონაცვლე/სამართალმემკვიდრე) არ იმყოფება ადგილზე ან უარს აცხადებს დაზიანებულ „ქსელზე“ აღდგენითი სამუშაოებისათვის საავარიო ჯგუფის დაშვებაზე, „GWP“-ის თანამშრომლები დაზიანების ლიკვიდაციისათვის უფლებას იტოვებენ, გაატარონ სათანადო ადეკვატური ზომები (შენობის ან სხვა ნაგებობების დანგრევა და სხვა, ყოველგვარი ზიანის (ზარალის) ანაზღაურების ან კომპენსაციის გადახდის გარეშე).

* საქართველო. შპს "კიტ 2016" * KIT 2016 402031868 GEORGIA. "KIT 2016" LTD

8. აღნიშნული „შეთანხმება“ სავალდებულოა შესასრულებლად და ვრცელდება „მესაკუთრის“ ნებისმიერ და ყველა უფლებამონაცვლეზე/სამართალმემკვიდრეზე (მათ შორის ზემოაღნიშნული უძრავი ქონების ნებისმიერ შემძენზე).

9. „მესაკუთრე“ კისრულობს ვალდებულებას „უძრავი ქონების“ ნებისმიერი გასხვისების შემთხვევაში, გააცნოს წინამდებარე „შეთანხმება“ და მისი შინაარსი ნებისმიერ ახალ შემძენს (შემდგომში „შემძენი“) და უზრუნველყოს, რომ „შემძენი“ გახდეს წინამდებარე „შეთანხმების“ მხარე (ან გააფორმოს ანალოგიური შეთანხმება „GWP“-სთან), რის მიხედვითაც, „შემძენი“ იკისრებს ამ „შეთანხმებაში“ მოცემულ ვალდებულებებს და გაათავისუფლებს „GWP“-ს პასუხისმგებლობისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, „მესაკუთრე“ სრულად რჩება პასუხისმგებელი და ვალდებულია აუნაზღაუროს „შემძენს“ ნებისმიერი განცდილი ზიანი (ზარალი) ან აუნაზღაუროს „GWP“-ის „ქსელის“ დაზიანების ან „ქსელზე“ ავარიის აღმოფხვრის/დაიზანების ლიკვიდაციის შედეგად ზიანის (ზარალის) ანაზღაურების სახით გადახდილი ნებისმიერი თანხები.

10. „მხარეები“ ადასტურებენ, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ წინამდებარე „შეთანხმების“ შინაარსი, იგი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა“ თავისუფალ ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა „შეთანხმების“ შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად;

11. წინამდებარე „შეთანხმება“ რეგულირდება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. წინამდებარე „შეთანხმების“ რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მისი სხვა დებულებ(ებ)ის ან/და მთლიანად „შეთანხმების“ ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა „შეთანხმებით“ (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

13. წინამდებარე „ხელშეკრულება“ შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3(სამი) ეგზემპლარად ქართულ ენაზე. თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ „მხარეს“, ხოლო ერთი ეგზემპლარი ჩაბარდება საჯარო რეესტრში რეგისტრაციისთვის. რეგისტრაციის ხარჯის დაფარვას (გადახდას) უზრუნველყოფს „მესაკუთრე“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად, „მხარეებმა“ უზრუნველყვეს წინამდებარე „შეთანხმების“ ხელმოწერა, ზემოთ პირველად აღნიშნულ თარიღზე.

შპს „კიტ 2016“


გიორგი ბერიანიძე

დირექტორი

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“

ფარნაოზ ქადაგიშვილი

წარმომადგენელი


ვენტშახტა
მ.1:500
შ.პ.ს. სურგულას დირექტორი:
ზ. სურგულაძე
LTD SURGULA
404479391
შპს სურგულა
L.T.D. Surgula